ხელშეკრულება №შს/22-119
საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 26.04.2022 წელი

ერთის მხრივ, სს „საქართველოს რკინიგზა“ (ს/კ 202886010), წარმოდგენილი მისი ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილის მიმდინარე ხარისხიან მომსახურებაზე (სერვისის დარგში) გიორგი გომარელის (31.12.2021 წლის #6080 მინდობილობა) სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15 (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ტიტანი“ (ს/კ 204393218), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ჩოჩიშვილის სახით, მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, ათონელის ქ., №29 (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე -10[1] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 08.04.2022 წლის #2/14 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

“ჩვენ, აღნიშნულ დოკუმენტზე ვიზირების განმახორციელებელი და ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან“

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სს „საქართველოს რკინიგზის“ სახსრებით, საქონლის შესყიდვა თანმდევი მომსახურებით, დირექტორთა საბჭოს 08.04.2022 წლის #2/14 დადგენილების საფუძველზე, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2 SMP მოდულის ნომერია: SMP220001144.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მგზავრთა ინფორმირებისთვის გამოსაცხადებელი სისტემის შეძენა (შემდგომში „საქონელი“) თანმდევი მომსახურებით/ მონტაჟით, დანართი N1-ისა (ინვოისი) და ტექნიკური დავალების მიხედვით (შემდგომში „მომსახურება“)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის ღირებულება მისი თანმდევი მომსახურებით განისაზღვრება დანართის (ინვოისი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.2 საქონლის ღირებულება თანმდევი მომსახურებით დღგ-ს გარეშე შეადგენს - 3 072,03 (სამი ათას სამოცდათორმეტი ლარი და სამი თეთრი) ლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით 3 625 (სამი ათას ექვსას ოცდახუთი ლარი) ლარს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის მოხდება პირობით DDP.
4.2 პროდუქციის მიმღებია: სს „საქართველოს რკინიგზა.”

4.3 საქონლის მიწოდებისა და მონტაჟის ადგილია: სს „საქართველოს რკინიგზა” , მისამართი: წყალტუბოს რაიონი, სადგური კოპიტნარი.
4.4 საქონელს მიწოდებისას უნდა ახლდეს სასაქონლო ზედნადები.
4.5 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ნაკისრი ვალდებულებები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
4.6 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 29 აპრილისა.
4.7 მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს მწარმოებლის მიერ გაცემული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (დედანი ან მწარმოებლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი);
4.8 მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს ექსპლუატაციის სახელმძღვანელო (დედანი ან მწარმოებლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი), სადაც გაწერილი იქნება შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და კომპლექტაცია;
4.9 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ადმინისტრატორს წარმოადგენს: დავით ჯანთიშვილი, ტელ: 591191156.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი იქნება ახალი, უნაკლო, არ იქნება ექსპლუატაციაში ნამყოფი და შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებული საქონლის ექსპლუატაციაში გამოვლენილი ნაკლი და უხარისხობით გამოწვეული ზიანი.
5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია ხარისხისა და რაოდენობის თაობაზე, მიმწოდებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს წარდგენილი პრეტენზია და ჩაანაცვლოს დეფექტური საქონელი საკუთარი სახსრებით.
5.4. გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 კალენდარული თვე.
5.5 განხორციელებულ მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ამ მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელს წარუდგინოს პრეტენზია. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე და გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.
5.6 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.7 მომსახურების არაჯეროვანი განხორციელების შედეგად მიყენებულ ზიანს საკუთარი ხარჯებით ანაზღაურებს მიმწოდებელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი და მისი თანმდევი მომსახურება შემსყიდველის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ მოწოდებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება საქონლის სრულად მოწოდების/მომსახურების სრულად გაწევის შემდგომ და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის/თანმდევი მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს:
- ფმგ-ს სამტრედიის სერვის ცენტრის უფროსი;
6.2 მიღება-ჩაბარების აქტი დგება ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, კონსიგნაციით.
7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ქართული ლარი.
7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 6.1 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.
7.4 ანგარიშწორებისათვის საჭირო დოკუმენტებია:
- მიღება ჩაბარების აქტი (დედანი);
- სასაქონლო ზედნადები;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
- 4.7 და 4.8 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
7.5 შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

8. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის/თანმდევი მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებელის ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს, შეამოწმოს მიწოდებული საქონლის/თანმდევი მომსახურების ხარისხი და ხარვეზის შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლისავე ხარჯზე ან დეფექტური საქონლის ახლით შეცვლა.
8.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით მიწოდებული საქონლის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

9. „მიმწოდებლის“ უფლება-მოვალეობანი

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების შესაბამისად და დადგენილი წესით მიწოდებული საქონლის/თანმდევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.
9.2 მიმწოდებლი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებულ საქონელში არსებული ხარვეზი ან/და მოახდინოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3 ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.4 ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის მითითებით.

12.5 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.6 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა ,,შემსყიდველის« პირველადი რეგისტრაციის დროს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა დ მუშაკებისთვის.

15.4 წინამდებარე ხელსეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.6 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

15.7 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას.

15.8. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

15.9. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ,,მიმწოდებელი“ არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

15.10. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.11. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სს ,,საქართველოს რკინიგზა”	შპს „ტიტანი“
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15	საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი
ს/კ 202886010	რაიონი, ათონელის ქ., №29
სს ,,საქართველოს ბანკი“	ს/კ 204393218
ბანკის კოდი: BAGAGE22	სს საქართველოს ბანკი
ა/ა GE09BG0000000128695301	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ანგარიშის №GE88BG0000000523085500
	ტელ: 577418249
_____	_____
გიორგი გომარელი ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილის მიმდინარე ხარისხიან მომსახურებაზე (სერვისის დარგში)	თეიმურაზ ჩოჩიშვილი დირექტორი

Teimuraz Chochishvili 01008000619

Digitally signed by Teimuraz Chochishvili
Date: 2022.04.26 15:57:48

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 21.04.2022 წელი

სს **„საქართველოს რკინიგზის“** (ს/კ 202886010) მიერ მგზავრთა ინფორმირებისთვის გამოსაცხადებელი სისტემის შეძენა თანმდევი მომსახურების გამარტივებული შესყიდვის გზით, შერჩეულ პრეტენდენტთან შპს „ტიტანი“ (ს/კ 204393218),, გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დავით ჯანიაშვილი სახელი/გვარი

ხელმოწერა

საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

სს „საქართველოს რკინიგზის“
დირექტორთა საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№2/14 2022 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

მგზავრთა ინფორმირებისთვის გამოსაცხადებელი სისტემის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გამარტივებული შესყიდვის გზით.

1. ცნობად იქნას მიღებული, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს 2022 წლის 5 აპრილის №15095 მოხსენებითი ბარათი.

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, მგზავრთა ინფორმირებისთვის გამოსაცხადებელი სისტემის სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, შპს „ტიტანი“-სგან.

3. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს შესაბამისი შესყიდვის მოთხოვნის მომზადება და კორპორატიული მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოში წარდგენა.

4. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოს (რ.ლორთქოფანიძე) ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს მიერ წარდგენილი შესყიდვის მოთხოვნის საფუძველზე, განახორციელოს მგზავრთა ინფორმირებისთვის გამოსაცხადებელი სისტემის სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, შპს „ტიტანი“-სგან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს დირექტორის მოადგილემ მიმდინარე ხარისხიან მომსახურებაზე (სერვისის დარგში) (გ.გომარელი).

დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ.ფერაძე**

ანგარიში-ფაქტურა

N INV2020.545

04-Apr-2022 წ.

მომწოდებელი და მისი მისამართი შ.პ.ს. ტიტანი ს/კ 204393218 ათონელის 29

ანგ GE88BG0000000523085500 ს/ს "საქართველოს ბანკი" კოდი BAGAGE22

გადამხდელი და მისი მისამართი

ქ.თბილისი

№		ეო– ამე	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1.	TI-120DTB	გამაძლიერებელი	1	1,400.00	1,400.00
2.	T-710K	ხმამაღლამოლაპარაკე	2	450.00	900.00
3.	T-774	ხმამაღლამოლაპარაკე	1	200.00	200.00
4.	TS-338	მიკროფონი	1	200.00	200.00
5.	ROLL HP65/1,...	აუდიო სადენი	50	6.50	325.00
6.	Service	მომსახურება-შეკეთება მონტაჟი		600.00	600.00
		ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით			
		გარანტია 6 თვე მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმებიდან			
			თანხა		GEL 3,625.00

1	ხელშეკრულება №		3	ხელშეკრულების საგანი მგზავრთა ინფორმირებისთვის გამოსაცხადებელი სისტემის შეძენა თანმდევი მომსახურებით/მონტაჟით
2	კონტრაგენტი		4	მიმღები დეპ/სამ. ფმგ--მგზავრთა მომსახურების დეპარტამენტი

ხელშეკრულების რანგი	კურატორი დირექტორის მიერ განსაზღვრული			გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული		
	რანგი			რანგი		
	I □	II □	III ☑	I □	II □	III □

5	ხელშეკრულების ადმინისტრატორი	მოძრაობის დაგეგმვისა და ანალიზის ცენტრის სპეციალისტი		
		თანამდებობა		
		დავით ჯანთიშვილი		21.04.2022
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი
6	დირექტორი	დაჩი ცაგურია		21.04.2022
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი

ტექნიკური დავალება

მგზავრთა ინფორმირებისთვის გამოსაცხადებელი სისტემა

1. სამაგიდო მიკროფონი ---------- 1 ცალი
-ტიპი: კონდენსატორული;
-სიხშირე: 20ჰც-18კჰც;
-გამოსავლელის წინაღობა: არაუმეტეს 250 ომი, დაბალანსებული;
-მგრძნობელობა: -40dB±2dB;
-S/N სიჩქარე: 65დბ 1კჰც 1 Pa- ზე;
-მიწოდების ძაბვა: ორი სეგმენტი DC 3ვ.

2. ხმის გამაძლიერებლი ---------- 1 ცალი
-კვების ქსელის მოთხოვნები: AC 220 - 240 ვ, 50/60 ჰც;
-სიმძლავრე გამოსასვლელზე: არანაკლებ 120 ვტ;
-გამოსასვლელის ორი რეჟიმი: გამოსასვლელზე მუდმივი დენი 100 ვ, გამოსასვლელზე მუდმივი წინაღობა 4-16 ომი;
-AUX (გამოსასვლელი): არანაკლებ 2ც;
-ინტერფეისი USB;
-მხარდაჭერა MP3/TUNER/Bluetooth;
-გამაძლიერებელი არანაკლებ კლასი D;
-მიკროფონის შესასვლელი არანაკლებ 2ც;
-უნდა შეეძლოს თვითდაცვა მოკლეშეერთებისგან, გადატვირთვისგან და გადახურებისგან..

3. შიდა მოხმარების დინამიკი ---------- 1 ცალი
- ჩაშენებული ტრანსფორმატორი 100ვ/70ვ;
- სიმძლავრე 10ვტ-20ვტ;
- დიაპაზონის სიხშირე: არაუმეტეს 100ჰც- არანაკლებ 20კჰც;
- შიდა მოხმარებისთვის - კედლზე დაკიდების შესაძლებლობით.

4. გარე მოხმარების ხმამაღლა მოლაპარაკე ---------- 3 ცალი
-მუშაობის ორი რეჟიმი: 100ვ და 70ვ;
-სიმძლავრე 100ვ-ზე - 25ვტ;
-სიმძლავრე 70ვ-ზე - 12.5ვტ;
-სიხშირის დიაპაზონი 250-6კჰც
-გარე მოხმარებისთვის - ყველა სეზონზე გამოსაყენებლად;
-წყლისგან დაცვა - არანაკლებ IP 55.

5. გამოსაცხადებელი სისტემის (კომპლექტში) მიწოდება-მონტაჟი___ 1 ცალი

შენიშვნა:
1. შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ახალი არ უნდა იყოს ნამყოფი ექსპლუატაციაში;
2. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს მწარმოებლის მიერ გაცემული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (დედანი ან მწარმოებლის მიერ ხელმოწერილი და

ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი);
2. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს ექსპლუატაციის სახელმძღვანელო (დედანი ან მწარმოებლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი), სადაც გაწერილი იქნება შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და კომპლექტაცია;

საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

წყალტუბოს რაიონი, სადგური კოპიტნარი